პრეს-რელიზი

საკონტაქტო პირი: ეკა გაბადაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
საქართველო, თბილისი 0113
რიჩარდ ჰოლბრუკის #8
ტ.: 577244454
egabadadze@spa.ge

დაუყოვნებლივ გავრცელებისთვის
თარიღი: 5 აგვისტო, 2016 წ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო შემსყიდველი ორგანიზაციების, მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა, ბიზნესგაერთიანებების და ასოციაციების წარმომადგენლებთან აცნობს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის სიახლეებს

5 აგვისტო, 2016 წ. - Hotels & Preference Hualing Tbilisi-ში (თბილისის ზღვის ახალი ქალაქი) იმართება საჯარო დისკუსია თემაზე: **სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა - სიახლეები და ცვლილებები.** შეხვედრას გაუძღვება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე კახა დემეტრაშვილი.

შეხვედრაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე ლევან რაზმაძე წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში 2015-2016 წლებში გატარებული რეფორმების მოკლე მიმოხილვას. გაიმართება სახელმწიფო შესყიდვების ახალი ელექტრონული სერვისების, მეთოდებისა და სერვისების პრეზენტაცია.

დეტალურად განიხილება ორეტაპიანი ტენდერის მიმდინარეობის პროცედურები, წარმოდგენილი იქნება მეთოდური რეკომენდაციები მის წარმართვაზე, ფასისა და ხარისხის მრავალკრიტერიუმიანი შეფასების კომპლექსურ მიდგომაზე.

საინფორმაციო-საკონსულტაციო ხასიათის შეხვედრაში მონაწილეობას იღებენ შემსყიდველი ორგანიზაციების, მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა, ბიზნესგაერთიანებების და ასოციაციების წარმომადგენლები.

ღონისძიება იმართება **„ევროკავშირი ბიზნესისთვის“** (EU4Business) ეგიდით მიმდინარე პროექტის: **„მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე საქართველოში“** მხარდაჭერით, რომელსაც **გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)** ახორციელებს ევროკავშირის დაფინანსებით. ღონისძიების პარტნიორია საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა.

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ ეწვიოთ ვებ-გვერდს: www.spa.ge

---

ევროკავშირი შედგება 28 წევრი სახელმწიფოსაგან, რომლებმაც გადაწყვიტეს თანდათანობით გაეზიარებინათ საკუთარი ცოდნა, რესურსები და მომავალი. ერთად, 50-წლიანი გაფართოების პერიოდის განმავლობაში მათ ააშენეს სტაბილურობის, დემოკრატიისა და მდგრადი განვითარების ზონა და ამავდროულად შეინარჩუნეს კულტურული მრავალფეროვნება, ტოლერანტულობა და ინდივიდუალური თავისუფლებები. ევროკავშირს სურს საკუთარ საზღვრებს მიღმა სხვა სახელმწიფოებისა და ადამიანებს გაუზიაროს საკუთარი მიღწევები და ღირებულებები.

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) არის მდგრადი განვითარების კუთხით საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში მომსახურების გლობალური მიმწოდებელი. GIZ-ს აქვს სხვადასხვა მიმართულებით მუშაობის 50 წელზე მეტი ხნის გამოცდილება, მათ შორის ისეთ სფეროებში, როგორიცაა: ეკონომიკური განვითარება და დასაქმება, ენერგეტიკა და გარემო, მშვიდობა და უსაფრთხოება. GIZ გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს სახელით 1990-იანი წლებიდან მხარს უჭერს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს სოციალური საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებად ჩამოყალიბებაში.